მანანა ჯავახიშვილი – ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს ევროპისა და საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიას, ქართულ-ევროპულ ურთიერთობებს, კათოლიკური ეკლესიისა და პაპობის ისტორიას, ყოველდღიურობის, გენდერის კვლევებს, განათლების ისტორიასა და სხვ. იგი არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის – 4 მონოგრაფიის („ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში“, თანაავტორი ლ. ხომერიკი, 2005; „მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე“, 2009, პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, 2015; „ჯვაროსნული ლაშქრობები“, ილიაუნი, 2019) და არაერთი საერთაშორისო პუბლიკაციისა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. მ. ჯავახიშვილმა ქართულად თარგმნა ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის ჟ. დიუბის წიგნი „რაინდი, ქალი და მღვდელი“, რობერ დე კლარის ქრონიკა „კონსტანტინოპოლის დაპყრობა“, ა. გურევიჩის - „შუა საუკუნეების კულტურის კატეგორიები“. მიღებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტიპენდია (ვატიკანის კულტურული თანამშრომლობის კათოლიკური კომიტეტის, დენი დიდროს, დედოფალ იადვიგას ფონდის, ჰ. ბიოლის და სხვ.), ახორციელებდა სამეცნიერო პროექტებს საფრანგეთში (პარიზი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სახლი), შვეიცარიაში (ფრიბურგის უნივერსიტეტი), პოლონეთში (იაგელონიის უნივერსიტეტი), იტალიაში (რომის ფრანგული სკოლა), საბერძნეთში (ათენის ფრანგული სკოლა) და სხვ.; ქართულ-ევროპული ურთიერთობების ისტორიის შესახებ ლექციებს კითხულობს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში.